საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე, ფინანსების საბაკალავრო პროგრამაზე, ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე, განათლების ადმინისტრირების სამაგისტო პროგრამაზე შემდეგი მიმართულებით:

საკონკურსო ვაკანსიები:

ბიზნესის ადმინისტრირებების ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე:

მენეჯმენტის მიმართულებით:

- ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)
- ასისტენტ-პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

მარკეტინგის მიმართულებით:

- ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)
- ასისტენტ-პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით:

- პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)
- ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით:

- ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)
- ასისტენტ-პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

ფინასების საბაკალავრო პროგრამაზე:

ფინანსური აღრიცხვის მიმართულებით:

- ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია (პროფესიული ნიშნით)
- ასისტენტ-პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

ინვესტიციების მიმართულებით:

- ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე:

ტუროპერეიტინგის მიმართულებით:

- პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე:

- პროფესორი - 1 ვაკანსია (აკადემიური ნიშნით)

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე:

- ასოცირებული პროფესორი - 1 ვაკანსია (პროფესიული ნიშნით)

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს შესაბამის საკონკურსო ვაკანსიაზე მოთხოვნილი (**აკადემიური / პროფესიული)** ნიშნით შესაბამისობა, ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმებით:

1. **პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**
   1.1 აკადემიური ნიშნით:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
- აკადემიური საქმიანობის ხედვა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა;

დამატებით ინგლისურენოვან პროგრამაზე:

- ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა;

2. **ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**
   2.1 აკადემიური ნიშნით:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

- არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- აკადემიური საქმიანობის ხედვა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა;

დამატებით ინგლისურენოვან პროგრამაზე:

- ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა;

2.2 პროფესიული ნიშნით:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან;
- შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- აკადემიური საქმიანობის ხედვა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა.

3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

3.1 აკადემიური ნიშნით:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- აკადემიური საქმიანობის ხედვა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა.

დამატებით ინგლისურენოვან პროგრამაზე:

- ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა;

უცხო ენის კომპეტენცია კონკურსანტს დადასტურებულად ჩაეთვლება ერთ-ერთ ქვემოთ მითითებულ შემთხვევაში:

ა) შესაბამის ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;
ბ) შესაბამის ენაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის / სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;
გ) ენობრივი კომპეტენციის ფლობის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობას, ენობრივ კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოთი (CEFR) დადგენილი კომპეტენციათა აღმწერის შესაბამისად.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, B2 დონის ენობრივი კომპეტენციის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატად მიიჩნევა ერთ-ერთი შემდეგი:
   - Cambridge First Certificate in English (FCE) – 165
   - IELTS – 6.5
   - TOEFL IBT (internet based) - 87
   - TOEFL PBT (paper-based) – 567
   - TOEFL ITP Silver certificate (B2)
   - TOEIC – 785 (reading and listening test); 310 (speaking and writing test)
   - PTE Academic (Pearson Test of English) – 59
   - PTE General (Pearson Test of English) - Level 3
   - BEC Vantage (B2 Business Vantage)
   - CELS exam – Vantage
   - Pitman ESOL International
   - Trinity ISE II
   - Michigan ECCE
4. აკადემიური კონკურსის მონაწილე, რომელიც ვერ დაადასტურებს ენობრივ კომპეტენციას ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუქტებით დადგენილი წესით ვალდებულია კომისიის წინაშე ჩატაროს საჩვენებელი ლექცია უცხო ენაზე ან ჩააბაროს ენობრივი კომპეტენციის ტესტირება უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საგამოცდო ტესტის მეშვეობით. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

დამატებითი კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისთვის:

ა) შესაბამის დარგში პრაქტიკული გამოცდილება;
ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;
გ) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
დ) უცხო ენების ცოდნა;

საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი აკადემიური თანამდებობისა და მიმართულების მითითებით;
2. კონკურსანტის ანკეტა;
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;
5. უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა;
6. კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში აუცილებელია განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა);
7. ინფორმაცია პროფესიული/სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების შესახებ (აუცილებელია შესაბამისი ცნობის წარმოდგენა ვაკანსიით გათვალისწინებული სამუშაო სტაჟის დასადასტურებლად);
8. ინფორმაცია გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ და ა.შ;
9. აკადემიური საქმიანობის ხედვა;
10. სილაბუს(ებ)ი;
11. ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
12. დამატებით კრიტერიუმებთან კონკურსანტის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

კონკურსის ეტაპები:

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა;
2. ტესტირება/საჩვენებელი ლექცია ინგლისურ ენაში კომპეტენციის დასადასტურებლად (ჩაუტარდება იმ კონკურსანტებს რომლებიც არ წარმოადგენენ ინგლისურ ენაზე სწავლის/სწავლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან შესაბამისი დონის ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს);
3. საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება (შესაძლებელია მოიცვას საჩვენებელი ლექციის ჩატარება)

კონკურსის პირობები:

1. საკონკურსო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადებში.

2. კომისია უფლებამოსილია გადაამოწმოს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის სისწორე ან/და მოსთხოვოს კონკურსანტს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსის შემდეგ ეტაპზე პირი დაიშვება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობით.

3. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუში თქვენს მიერ გაგზავნილი რეზიუმე "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის შრომითი ურთერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის.

4. კონკურსში შერჩეულ პირებს სურვილის შემთხვევაში გაუფორმდებათ აფილირების ხელშეკრულება.

კონკურსანტების შერჩევის პირობები:

ა) პირველ ეტაპი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა, დოკუმენტაციის სისრულისა და ძირითად კრიტერიუმებთან მათი განაცხადების შესაბამისობის დადგენა;

ბ) მეორე ეტაპი - ტესტირება/საჩვენებელი ლექცია - ინგლისურ ენაში კომპეტენციის დასადასტურებლად

გ) მესამე ეტაპი - გასაუბრება, საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის თითოეულ ძირითად კრიტერიუმთან შესაბამისობის დადგება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტთა რაოდენობა აღემატება შესაბამის ვაკანსიათა რაოდენობას, ასევე დამატებით კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასება;

კონკურსის ვადები:

- კონკურსი გამოცხადებულია 2022 წლის - 8 თებერვლიდან;
- აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2022 წლის 9 დან - 25 მარტის ჩათვლით;
- კონკურსის პირველი ეტაპი - საბუთების გადარჩევა: 2022 წლის 28 მარტი;
- კონკურსის მეორე ეტაპი ტესტირება / საჩვენებელი ლექცია - ინგლისურ ენაში კომპეტენციის დასადასტურებლად: 2022 წლის 29 მარტი;

- კონკურსის მესამე ეტაპი - საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება: 2022 წლის 30-31 მარტი, (გასაუბრების ზუსტი თარიღი და დრო კანდიდატს ეცნობება კონკურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ);
- სააპელაციო განაცხადის მიღება: 2022 წლის 4 აპრილის ჩათვლით;
- სააპელაციო განაცხადების განხილვა: 2022 წლის 5 აპრილი;
- კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნება: 2022 წლის 6 აპრილი.

დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტი უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ ფოსტაზე: hr@seu.edu.ge (წერილის ველში **ვაკანსიის/აკადემიური თანამდებობის და მიმართულების** მითითებით) ან წარმოადგინონ უნივერსიტეტში მისამართზე ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9.
საკონტაქტო ელ. ფოსტა: hr@seu.edu.ge ტელ: 2 90 00 00 შიდა 21